საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის

ბრძანება №1-1/235
2025 წლის 27 ივნისი

ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სარკინიგზო ტრანსპორტის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2023 წლის 29 ივნისის №1- 1/250 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სარკინიგზო ტრანსპორტის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2023 წლის 29 ივნისის №1- 1/250 ბრძანებით (www.matsne.gov.ge, 30/06/2023, სარეგისტრაციო კოდი: 040030000.22.024.016808) დამტკიცებულ „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სარკინიგზო ტრანსპორტის სააგენტოს დებულებაში“ შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-2 მუხლის:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. სააგენტოს მიზანია უზრუნველყოს სარკინიგზო უსაფრთხოება, რკინიგზით მგზავრთა გადაყვანის ზედამხედველობა, სარკინიგზო ტრანსპორტის ფუნქციონირების ორგანიზაციულ-სამართლებრივი მოწესრიგება და ამ სფეროში საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა.“;

ბ) მე-3 პუნქტს:

ბ.ა) დაემატოს შემდეგი შინაარსის „დ^{1}“ ქვეპუნქტი:

„დ^{1}) ტექნიკური მომსახურებისთვის პასუხისმგებელი პირის სერტიფიკატის გაცემა, განახლება, შეჩერება და გაუქმება;“;

ბ.ბ) დაემატოს შემდეგი შინაარსის „ზ^{1}“ ქვეპუნქტი:

„ზ^{1}) მემანქანეთა ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასებისა და მემანქანის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობის (ფორმა № IV-100/ა) გაცემის უფლებამოსილების მქონე სამედიცინო დაწესებულებისა და ექიმის აღიარება და მათი მონიტორინგი;“;

ბ.გ) დაემატოს შემდეგი შინაარსის „რ^{1}” ქვეპუნქტი:

„რ^{1}) რკინიგზის მგზავრთა უფლებების დაცვის მიზნით საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ფუნქცია-მოვალეობების განხორციელება;“;

ბ.დ) დაემატოს შემდეგი შინაარსის „ტ^{1}“ ქვეპუნქტი:

„ტ^{1}) სარკინიგზო თავსებადობის სისტემის დანერგვა;”;

ბ.ე) დაემატოს შემდეგი შინაარსის „ფ^{1}“-„ფ^{3}“ ქვეპუნქტები:

„ფ^{1}) სახიფათო ტვირთის გადაზიდვის სპეციალისტის სერტიფიკატის გაცემა, განახლება, აღდგენა, მოქმედების შეჩერება და გაუქმება;

ფ[2]) სახიფათო ტვირთის გადაზიდვის სპეციალისტის სწავლების განმახორციელებელი პირის სტატუსის აღიარება, შეჩერება და გაუქმება;

ფ[3]) სააგენტოს მიერ აღიარებული სახიფათო ტვირთის გადაზიდვის სპეციალისტის სწავლების განმახორციელებელი პირის სტატუსის მქონე პირის ინსპექტირება;“

2. მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ნ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულსამართლებრივ აქტს – ბრძანებას და გადაწყვეტილებას, აგრეთვე, კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტს – ბრძანებას, იღებს გადაწყვეტილებას (დადგენილებას) ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ;“.

3. მე-4 მუხლის პირველი პუნქტის:

ა) „დ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

ბ) „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) ანალიტიკური და საზოგადოებრივი მომსახურების დეპარტამენტი;“;

გ) დაემატოს შემდეგი შინაარსის „ვ“ ქვეპუნქტი:

„ვ) სარკინიგზო თავსებადობის დეპარტამენტი.“.

4. მე-5 მუხლის:

ა) პირველი პუნქტს:

ა.ა) დაემატოს შემდეგი შინაარსის „ბ[1]“ ქვეპუნქტი:

„ბ[1]) ტექნიკური მომსახურებისთვის პასუხისმგებელი პირის სერტიფიკატის გაცემის, განახლების, შეჩერებისა და გაუქმების თაობაზე საკითხების შესწავლა და წინადადებების მომზადება;

ა.ბ) დაემატოს შემდეგი შინაარსის „ზ[1]“ ქვეპუნქტი:

„ზ[1]) მემანქანეთა ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასებისა და მემანქანის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობის (ფორმა № IV-100/ა) გაცემის უფლებამოსილების მქონე სამედიცინო დაწესებულებისა და ექიმის აღიარების თაობაზე საკითხების შესწავლა და წინადადებების მომზადება, ასევე, მათი მონიტორინგი;“;

ა.გ) „პ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

ა.დ) დაემატოს შემდეგი შინაარსის „რ[1]“-„რ[3]“ ქვეპუნქტები:

„რ[1]) სახიფათო ტვირთის გადაზიდვის სპეციალისტის სერტიფიკატის გაცემის, განახლების, აღდგენის, მოქმედების შეჩერებისა და გაუქმების თაობაზე საკითხების შესწავლა და წინადადებების მომზადება;

რ[2]) სახიფათო ტვირთის გადაზიდვის სპეციალისტის სწავლების განმახორციელებელი პირის სტატუსის აღიარების, შეჩერებისა და გაუქმების თაობაზე საკითხების შესწავლა და წინადადებების მომზადება;

რ[3]) სააგენტოს მიერ აღიარებული სახიფათო ტვირთის გადაზიდვის სპეციალისტის სწავლების განმახორციელებელი პირის ინსპექტირება;”;

ბ) მე-2 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ნ ^{1}“-„ნ ^{3}“ ქვეპუნქტები:

„ნ^{1}) რკინიგზის მგზავრებისთვის მათ უფლებებთან დაკავშირებულ საკითხებზე კონსულტაციის გაწევა;

ნ^{2}) რკინიგზის მგზავრთა უფლებების დარღვევის შესახებ საჩივრების განხილვა;

ნ^{3}) რკინიგზის მგზავრთა უფლებების დაცვის წესის შესრულების შემოწმება (ინსპექტირება);“;

გ) მე-3 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „დ^{1}“ და „დ^{2}“ ქვეპუნქტები:

„დ^{1}) სააგენტოში არსებული პროექტების კოორდინაცია, მართვა და ღონისძიებების დაგეგმვა, აგრეთვე, ასეთ პროექტებსა და ღონისძიებებში მონაწილეობა;

დ^{2}) სააგენტოს საზოგადოებასთან ურთიერთობის პროცესის უზრუნველყოფაში მონაწილეობა და კოორდინაცია, ასევე სააგენტოს მიერ განხორციელებული პროექტებისა და ღონისძიებების შესახებ საზოგადოების ინფორმირებისთვის შესაბამისი აქტივობების დაგეგმვა და კოორდინაცია.“;

დ) მე-4 პუნქტი ამოღებულ იქნეს;

ე) მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. ანალიტიკური და საზოგადოებრივი მომსახურების დეპარტამენტის ფუნქციებია:

ა) სააგენტოს სტატისტიკური და ანალიტიკური საქმიანობის განხორციელება;

ბ) სხვადასხვა დეპარტამენტებიდან მიღებული მონაცემების ანალიზის შედეგად სააგენტოს საქმიანობის შესწავლა, შესაბამისი დასკვნების მომზადება და წინადადებების შემუშავება სააგენტოს საქმიანობის ცალკეულ მიმართულებათა ოპტიმიზაციის მიზნით და სააგენტოს დირექტორისთვის ანგარიშის წარდგენა;

გ) ინოვაციური პროექტების ინიციირება და მათი შედეგების ანალიზი;

დ) სააგენტოს მოქმედების სფეროში მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი განვითარების გეგმის შემუშავება და მათი განხორციელების ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა;

ე) სარკინიგზო დარგში საუკეთესო პრაქტიკის შესახებ ინფორმაციის მოძიება, ანალიზი და არსებული სიტუაციის გათვალისწინებით რეკომენდაციების შემუშავება სარკინიგზო დარგის განვითარების ხელშეწყობის მიზნით;

ვ) რკინიგზით მგზავრთა გადაყვანის სფეროს შესწავლა, ანალიზი და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება, მათ შორის, კონკრეტულ დანიშნულების ადგილებთან და მიმართულებებთან დაკავშირებით;

ზ) საზოგადოებრივი მომსახურების ხელშეკრულების პროექტის შემუშავება;

თ) საზოგადოებრივი მომსახურების ხელშეკრულების პროექტთან დაკავშირებით შესაბამისი განხილვების/ მოლაპარაკებების ორგანიზება ან/და წარმოება;

ი) საზოგადოებრივი მომსახურების კომპენსაციის შემუშავება ან შემუშავებაში მონაწილეობა და შესაბამისი წინადადებების მომზადება;

კ) კომპეტენციის შესაბამისად, საზოგადოებრივი მომსახურების ხელშეკრულების შესრულების მონიტორინგის განხორციელება;

ლ) საზოგადოებრივი მომსახურების ვალდებულების შესრულების თაობაზე ანგარიშების მომზადება

გარკვეული პერიოდულობით;

მ) ამ დებულებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, სხვა უფლება-მოვალეობების შესრულება.“.

ვ) დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-6 პუნქტი:

„6. სარკინიგზო თავსებადობის დეპარტამენტის ფუნქციებია:

ა) სარკინიგზო თავსებადობის სისტემის დანერგვაში მონაწილეობა და სარკინიგზო თავსებადობის წესების შემუშავება;

ბ) სარკინიგზო თავსებადობის უზრუნველყოფის მიმართულებით საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლა, ანალიზი და შესაბამისი ანგარიშების მომზადება;

გ) შესაბამისი წინადადებების მომზადება სარკინიგზო თავსებადობის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის მიზნით;

დ) სარკინიგზო თავსებადობის შემფასებელი ორგანოების რეგულირებისა და სერტიფიცირებისთვის სათანადო პირობების მომზადება;

ე) ფიქსირებული ინსტალაციების ექსპლუატაციაში მიღების ავტორიზაციის, სარკინიგზო სატრანსპორტო საშუალების ბაზარზე განთავსების ავტორიზაციისა და სარკინიგზო სატრანსპორტო საშუალების ტიპის ავტორიზაციის გაცემისათვის სათანადო პირობების მომზადების უზრუნველყოფა;

ვ) სარკინიგზო ინფრასტრუქტურისა და მოძრავი შემადგენლობის არსებული მდგომარეობის შესწავლისა და შეფასების მიზნით შესაბამისი ინფორმაციის მოძიება და ანგარიშების მომზადება;

ზ) სარკინიგზო ინფრასტრუქტურისა და მოძრავი შემადგენლობის სახელმწიფო რეგისტრაციისა და შესაბამისი რეესტრის წარმოებისათვის სათანადო პირობების მომზადება;

თ) სარკინიგზო ტრანსპორტის დარგში საერთაშორისოდ დამკვიდრებული თავსებადობის ტექნიკური სპეციფიკაციების (TSIs) ანალიზი და მათ დანერგვაში მონაწილეობა;

ი) ამ დებულებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, სხვა უფლება-მოვალეობების შესრულება.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2025 წლის 1 აგვისტოდან.

საქართველოს ეკონომიკისა და
მდგრადი განვითარების მინისტრი **მარიამ ქვრივიშვილი**